# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. | კ. | თთვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . | 10 | — | 6 . . | 6 | — |
| 11 . . | 9 | 50 | 5 . . | 5 | 50 |
| 10 . . | 8 | 75 | 4 . . | 4 | 75 |
| 9 . . | 8 | — | 3 . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის საგაზეთოს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1887 წელიწადი


**გაზეთი „ივერიის“ პირველის ივნისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მ. 50 კ.**

ტფილისი, 6 ივნისი

ჩვენა ვსთქვით, რომ უცხო ქვეყნების საქონლის შემოტანაზედ დადება ბაჟისა, ანუ უკეთ ვსთქვათ, გადასახადისა ახალი ამბავი არ არის კაცობრიობისათვის. ეგ ბაჟი, ანუ გადასახადი არამც თუ გარედამ შემოსატან საქონელზედ იყო უწინ, არამედ შინაურს საქონელზედაც. ამიტომაც შინაც ზოგიერთ გვარ საქონლისათვის ჰქონდათ ხოლმე გამართული საბაჟოები და ზოგიერთი საქონელი ერთსა და იმავე სახელმწიფოში ერთის ადგილიდამ მეორეში ვერ გადავიდოდა უბაჟოდ ამ უკანასკნელმა წყობილებამ თავისი დრო მოიჭამა და დღეს პირველ-საჭიროდ სახმარი საქონელი ყველგან ამ ბაჟისაგან დახსნილია. თუ არის კვლავ რაზედმე, მარტო იმისთანაზედ, ურომლისოდაც კაცს გაუჭირებლად ცხოვრება შეუძლიან და რომელიც უფრო განსაცხრომია და საქეიფო, ვიდრე საჭირო, მაგალითებრ, არაყი, თამბაქო და სხვა მისებრი.

ჩვენ ამ შინაურს ბაჟზედ დღეს სიტყვის ჩამოგდება არ გვინდა. ჩვენი სურვილია ვაუწყოთ ჩვენს მკითხველს ზოგიერთი რამ იმ გვარს ბაჟზედ, რომელიც უცხოთა ქვეყნების საქონელზეა მიმართული. ამ გვარი ბაჟი განსაკუთრდა მეჩვიდმეტე საუკუნეში და სულ ცალკე, საკუთრად მისი შესაფერი წყობილება მიიღო. ამ ბაჟს ეხლა «სადამოჟნო» ბაჟს ეძახიან და თუ საქონელმა რომელსამე ქვეყანაში შემოსვლის უმალვე ეს ბაჟი არ გადიხადა, ბაზარში ვერ გაიჭაჭანებს.

თავდაპირველად ამ გვარის ბაჟის დადგენას და შემოღებას მარტო საფინანსო მიზეზი და საბუთი ჰქონდა, როგორც სხვა ყოველ გვარს ბაჟსა. სახელმწიფო ჰფიქრობდა ამით ერთი მეტი წყარო ჰქონოდა შემოსავლისა და დღეს ეს არა-პირდაპირი გადასახადი კარგა დიდს ლუკმას იძლევა სახელმწიფო ხაზინისათვის, თუ კი სახელმწიფოს ეს საქმე კარგად მოწყობილი აქვს. ხოლო თვით საქმის მსვლელობამ დროთა განმავალობაში აჩვენა სახელმწიფოს მმართველთა, რომ ეს სადამოჟნო ბაჟი არამც თუ საფინანსო, არამედ საპოლიტიკო და საეკონომიო აზრითაც შეიძლება სახელმწიფომ გამოიყენოს. მიაგნო, რომ შესაძლოა ამით უმტრონ კიდევ სხვა სახელმწიფოსა, რომელსაც საქონელი შემოაქვს და შემწეობაც აღმოუჩინონ შინაურს მრეწველობასა გაძლიერებისათვის.

ქვეყანა ისეა განგებული და განწყობილი, რომ რაც ერთს ბევრი აქვს, ის მეორეს ნაკლები და ეს მეტ-ნაკლებობა იძულებულ ჰყოფს ყოველს ცალკე სახელმწიფოს თავისი მეტი გაიტანოს სხვაგან გასასყიდად და რაც აკლია შემოიტანოს სხვისაგან სყიდვითვე. ამ მეტ-ნაკლებობის გამო თვითეული სახელმწიფო სხვის მუშტარიც არის და თავის საქონლის გამსყიდველიცა, ესე იგი, ამღებიც არის და გამცემიცა. აქედამ არის წარმომდგარი ერთთა-შორისი აღებ-მიცემობა, ვაჭრობა.

რა თქმა უნდა, რომ იგი სახელმწიფო არის მოგებაში ხოლმე, რომელიც თავის მეტსა ბლომად ასაღებს და სხვისას—ნაკლებ ჰსაჭიროებს, რომელიც თავის მეტს ბლომად ჰყიდის და სხვისას-კი ცოტას ჰყუდულობს. ამ ბევრის გაყიდულისაგან ცოტას ნასყიდის ფასი რომ გამოითვალოს, დანარჩენი იმ ნატამალს შეადგენს, რომელიც წმინდა მოგებაა სახელმწიფოსი. ეგრედ წოდებული სავაჭრო ბალანსი იგი სასწორია, რომელიც ამ ნატამალის მეტ-ნაკლებობას აჩვენებს და როცა ამ სასწორზედ გაყიდულის ფასი მეტია ნასყიდისაზედ, მაშინ იტყვიან ხოლმე: სავაჭრო ბალანსი ჩვენი სასარგებლოა და როცა არა, საზიანოაო.

აქედამ აშკარადა სჩანს, რაზედ უნდა მიქცეული იყოს მეცადინეობა ყოველის სახელმწიფოსი საერთთა-შორისო აღებ-მიცემობის საქმეში: უნდა ყოველი ღონე იღონოს, რომ თვითონ რაც შეიძლება ნაკლებ გაუწიოს მუშტრობა სხვის საქონელსა და სხვა-კი თავის საქონლისათვის დიდ მუშტრად აიჩინოს. აი სწორედ აქა და აქედამ ჰმტრობენ ხოლმე ერთმანეთს სახელმწიფოები, როცა ერთმანეთს აეშლებიან. აი, მაგალითად, თუნდ ინგლისი ავიღოთ. ეკონომიური ძალ-ღონე საკუთრივ ინგლისისა საფაბრიკო და საქარხნო საქონელია. ამ გვარი საქონელი ისე ბლომად აქვს, რომ ძლივ-ძლიობით ასაღებს ამ მთელს ქვეყნიერობაზედ. ვსთქვათ, ამისთანა დიდმა სახელმწიფომ როგორც რუსეთია, რომელსაც ასი მილლიონი მკვიდრი ჰყავს, არ შემოუშვა ინგლისის საქონელი თავის ქვეყანაში და კარები გამოუგულა. აშკარაა, ასის მილლიონის მუშტრის მოკლება დიდად საგრძნობელი და საზიანო უნდა იყოს, თუნდ იმისთანა სახელმწიფოსათვის, რომელსაც სხვა ბაზრებიცა აქვს თავისის გონიერებით წინადვე დაჭერილი. რამოდენადაც ეს ასი მილლიონი მუშტარი სიმდიდრეს შესძენდა ინგლისს, როცა მის საქონელს იყიდდა, სწორედ იმოდენად გააღარიბებს, როცა აღარ იყიდის და გაღარიბება ხომ უღონობაა. უღონობა მტრისა, თუმცა ღონეს არა ჰმატებს მოპირდაპირესა, მაგრამ ძლევის იმედს კი უძლიერებს და მტერს გზიდამ აცლის.

რასაკვირველია, სახელმწიფონი, რომელნიც საომრად გადაკიდებულნი არ არიან, ვერ გაუბედვენ თავისის ქვეყნის კარები გულახდილად და პირ-და-პირ ჩაუკეტონ ერთმანეთსა, რაც უნდა სამტროდ გული უცემდეთ. ესეთი ქცევა შესაძლოა ომის მიზეზადაც შეიქმნეს და ჩვეულებად მიღებული არ არის ევროპის პოლიტიკაში. რომ ეს ასე არ მოუხდეთ, სხვა გზით მოელიან ხოლმე საქმეს, როცა ერთსა ჰსურს მეორეს ავნოს და ზიანი მიაყენოს. ღონედ, რასაკვირველია, ისევ იმ „სადამოჟნო ბაჟსა“ ჰხმარობენ. რომ სხვის საქონლის დენასგზა გადუღობონ, აიღებენ ხოლმე, ამ ბაჟს იმოდენად გაადიდებენ, და მით საქონლის ფასს იმოდენად ასწევენ, რომ კაცი დღის სავალზედაც ვერ მიეკარება.

იტყვიან, ეგ ხომ ისევ ის კარის დაკეტა გამოვიდაო. მართალია, მაგრამ აქ ერთი იმისთანა პატივ-სადები მიზეზი მოჰყავთ ხოლმე, რომ გულ-ნატკენს სახელმწიფოს ხმაც ვერ ამოუღება, თუმცა გულში-კი ჰგრძნობს, რომ მოპირის-პირე ერთსა ჰკაკანებს და კვერცხს-კი სხვასა სდებს. მიზეზად იმას ამბობენ, რომ იმ საქონელის შექმნა, რაც სხვიდამ შემოგვაქვს, ჩვენც შეგვი-

# ფელეტონი

## ცხრა-წვენა *)

### IV

ლილიფარიანცის სახლ-კარი წელმაგარაშვილს დაჰრჩომია „ტორგში“. მუდამაშვილი ამბობს: საცოდავი ენძელაძიანციც გაკოტრებულა, მცარცველიანციც პატრონს ჩაჰბარებიაო და ამათს ავლა-დიდებასაც მალე „გააპრადალაჟებენო“.

ყოჩმანა სოვდაგარს რეგვენიძეს საიდლამაც გაუგია: რუსეთში ციც-ციცილელის ხსენება არალიო და უთქვამს: აბა ფულებსაც მე მოვიგებო. უყიდნია სამასის თუმნის გუდა-ლელვი და გაუგზავნია, მაგრამ, საუბედუროდ, ციცივ-ლელვს ჩახურებაცა სცოდნია, რის გამოც შუა გზაშივე დამჰაყებულა და დალუპულა კაკალი კაცი.

გამეცინა და მეწყინა კიდეც, მე და ჩემმა გაჩენის დღემ და რო წავალ და აღარ მოვალ, თორემ „განა სასაცილო იქნებოდა, სამწუხარო რომ არ იყოს“? [1]) საწყალი რეგვენიძე, თურმე ისე გამოსარსარაკებულა ბოლმით, რომ „ლხინსა არას არ იახლებს, ჰკრთების, კუშტობს, ვიშობს, უშობს“ *) ეჰ, რა გაეწყობა, როდესაც „რეგვენი ჭირის ღირსია“ [2]), როდესაც „მცოდნე და მოხერხებულის კაცის ხელში საწამლავიც მკურნალობს და უტვინო ბალანა-კი რძის საჭამანდშიაც დაირჩობა ხოლმე“ [3]).

ლორაძეს ორაგულით ინთილა უკრავ და თქვენი ჭირი წაუღია. ცხონებულს ერთხელ სიზმრად მაინც მოსჩვენებოდა ჰიპოკრატი თავისის მამაშვილურის მოძღვრებით და გაეფრთხილებინა: „ჭამა-სმაში, ძილში, თუ სიყვარულში—ზომიერება იცოდე ყველაში“. დიდის ამბითა და ყოფით უნდა დაასაფლავონ ლორაძეო; წარმოიდგინეთ, ბალდახინიც-კი ორაგულით უნდა იყოს მოქარგული, რადგანაც მეტის-მეტად უყვარდა იმ ცხონებულს და იმისი ანდერძი და ვედრებაც ეს იყოო.

საცოდავი მგელაძე კიდევ ხომ სულს ებრძვის: ხანა კვდება, ხანა ცოცხლდება, ხან რაღაცაებსა ჰბოდავს, აკანკალებს, ჭირის-ოფლს აყრის, ხან საბან ქვეშ იმალება და საზარელად იძახის: „მიშველეთ!.. ცეცხლის მათრახს მიტუტრებსო!..“ იმისი გასპეტაკებული ცოლ-შვილი-კი უნთებს ანგელოზებს ბაზმასა და კელაპტრებს და ევედრება: „ღმერთო, ჩაიბარე ამისი ცოდვილი სულიო“. მაგრამ სად არი, სიკვდილსაც-კი მოსძაგებია საბრალო მგელაძის ცოდვილი სული და აცოდვილებს რაც შეუძლიან. საწყალ მგელაძეს რომ ეს ლათინური ანდაზა არ დაევიწყებინა: „გახსოვდეს მტვრად იქცევიო“, ხომ იმ სამუდამო საზარელებაში აღარ ჩავარდებოდა...

თურმე ამ დროს, როდესაც საცოდავს მგელაძეს სულთამხუთაები აწვალებდნენ, იმისი მზარეული ქურდბაცაცაშვილი კიდევ დასეირნებდა „მოდნი სვეტში“ და თავისთვინა ღიღინებდა: „და ისე სული დიდ-კაცსა ჰხდება, როგორც მის მსახურს უკანასკნელსა“! [4]) საწყალი, ალბად ისიც შეცოდებული იქნებოდა... მაგრამ ესაც კია, რომ კეთილ-ზნეობა კეთილდღეობამ იცის...

ძილგუდაძეს მუხლებში ქარები (რევმატიზმი) გასჩენია და სიკვდილით კი არა უშავ-რა, მადლობა ღმერთს, დღესაც ხელიკივით მზეს უყურებს ანტიპნოტიკის წყალობით, მაგრამ ვაი იმისთანა წყალობასაც და არსებობასაც, რომ იქ მკვდრებს აკლია და აქ ცოცხლებს. შურიძეს საჯდომზე ძირძიდა გამოჰსვლია და არ ასვენებს; ამას ვინლა იჩივლებდა და იტირებდა, თვალებზედაც რომ ლიბრი არ გადაჰკვროდა საცოდავს.

შარშან დიდ-მარხვაში ტრაბახაძეს დაუტრაბახნია: „სანაძლეო რა იყოს, რომ აი ამ სამ ჭიაკოკონაზე ერთად, ჩიტივით გადავფრინდეო“. აბა, ჰაო! და ტრაბახაძესაც უსკუპნია, ჩავარდნილა შუა-ცეცხლში და კინაღამ არ დაბუგულა საცოდავი. ეჰ, მახლას, რას არ ამბობენ და ვერ-კი თაოპენ. ეგრეა და всякій трусъ о храбрости говоритъ და ბოლოს-კი ეს გამოვა ხოლმე რომ „მჩხავანა კატა თაგვს ვერ დაიჭერს“.

სასაცილო-კი ეს არის, რომ კიდევ შახი არ უტეხნია ტრაბახაძეს და რიხიანად უთქვამ: „მე იგი ვარ, ვინ სოფელსა არა მოვკრეფ კიტრს „ბადრიჯნათო“ *. მეტი ჩარაძისათვის ეირს ფერდში წიხლი მიუზილებია და კარგია კიდევ დაუჭედავი ყოფილა ოთხ-ფეხი, თორემ, თქვენი მტერი, იქვე გაქრობდა.

მცონარაძის ყანები თაგვებს მოუჭამნიათ, შიმშილით კატა გაჰქსუებია და ვაი, ვის საბუდარსა და კრუხწიწილასაც ის მიადგება თურმე. ამაზედ ყრილობა მოუხდენიათ და ატეხილა ერთი კინკლაობა და სიტყვის წართმევ-წამორთმევა. ბოლოს უთქვამთ: კატა დავსაჯოთ თუ კატის პატრონიო? მეტად გაცხარებულა ამაზე „ტარშინა“: „კატისა რა ბრალია, როდესაც „громъ не изъ тучи, а изъ навозной кучи“-ო. მოგახსენებენ, სატკივარიძის ქორ-მეძებრებს ენა ამოუდგამთ და საჩივარი გაუციათ: „მუდამ ცისმარე დღეს სანადიროდ დაგვალაწლაწებს და მუცელს-კი არ გვიძლობს ჩვენი პატრონიო“.

გაიძვერაძეს მინდობილიძისათვინ რაღაც-რაღაცები დაუთოკნია და საითღაც გამქრალა. ამ ყმაწვილს ბევრი ამისთანა ემეები ჩაუდენია, სარქოსი არ იყოს, მაგრამ დღესაც მოდის. ერთის სიტყვით, вретъ, вретъ, и нигдѣ не оборвется [5]) ი დასაქცევი.

„ქვეყანაზე არც ერთი ძალა არ არსებობს ისეთი, რომ მხოლოდ მარგებელი იყოს, ან მარტო მავნებიო“, ფილოსოფოსობს ბ-ნი ნ. ნიკოლაძე და აი მაგალითიც: გაიძვერაძეც ერთი იმ ძალათაგანია, რომელიც ერთს ამწუხარებს და მეორეს (თავის ამქარს) ანეტარებს.

ამაყიძესა და ამპარტავნიძეს ჩხუბი მოჰსვლიათ, ერთმანეთისათვის კეტებით თავ-პირი დაულეწიათ და ეხლა ორნივ სამკურნალოში განისვენებენ და ახალ-წელიწადს ელოდებიან.

უნამუსოვს რაღაც დაუშავებია და ენა-დაბმულიძესთვინ გადუბრალებია, ეჰ, მახლას, каковы вѣки, таковы и человѣки. ერთი ეს-კი უთქვამ საცოდავს ენა-დაბმულიძეს: ფლიდობა დიდობაა და დიდობა ვირობააო, და გაჩუმებულა. დანდურ-კართოფილოვის აჯილდას საბელი აუწყვეტნია თუ-

*) იხ. „ივერია“ № 107.

[1]) ი. გოგებაშვილი

[2]) „ვისრამ.“

[3]) ნ. ნიკოლაძე

[4]) ი. კერესელიძე

[5]) გოგოლი

ძლიანო; ამ შეძლებას აბრკოლებს ის გარემოება, რომ სხვის საქონელი ჩვენს შინაურს ბაზარში სჩაგრავს და გზას არ აძლევს ჩვენს საქონელსა; როცა სხვის საქონელს ჩვენის ბაზრიდამ დავითხოვთ, მაშინ ბურთი და მოედანი ჩვენს ერსავე დარჩება და რადგანაც საქონელი ერისათვის საჭიროა და რადგანაც როგორც გიჭირს, ისეც გიღირს, ამიტომაც ჩვენი ერი მოჰკიდებს ხელს მაგ საქონლის მრეწველობასა, მრეწველობა გაძლიერდება, ერი გამდიდრდება და თავისას თვითონვე გაჰყიდის და იყიდისო; ამ სახით ერის პირიდამ გავარდნილი ლუკმა მის ჯამშივე ჩავარდებაო.

რა თქმა უნდა, რომ როცა სახლში შიმშილით ბალღები გიტირიან, მაშინ ტაბლის გარედ გატანა სულელობაა; როცა კაცს თვითონვე შეუძლიან თავის საქმეს გამორჩეს რასმე, მაშინ უჭკუობა იქნება თვითონ გულ-ხელი დაიკრიფოს და გამოსარჩომი სხვას დაანებოს. მაგრამ საკითხავი ეს არის, მართლა ეგრე-კი მოხდება ხოლმე, როცა სხვის საქონელს ბაჟის შემწეობით გზას არ აძლევენ?

მეცნიერებამ დიდი ხანია ყურადღება მიაქცია ამ საკითხავს და ბევრი ჰქო და არა ითქვა ამის გამო. დღეს ამ საგანზედ გადაწყვეტილი პასუხი არ არის მოცემული მეცნიერებისაგან. ამ საგანზედ ორ-გვარი წყობაა აზრისა, ერმანეთის მოპირის-პირე: ერთს ფრიტრედერობას ეძახიან და მეორეს პროტექციონობას. დღეს არც ერთს ჟურნალს და არც ერთს გაზეთს ისე ვერა ჰნახავთ, რომ ამ ორში ან ერთს სახელს არ ახსენებდეს და ან მეორესა. ამიტომაც არ იქნება ჩვენ მიერ მეტი გამოვირკვიოთ, რა იგულისხმება ან ერთს სახელ-წოდებაში, ან მეორეში. ეს გამორკვევა მით უფრო საჭიროა, რომ ზოგიერთმა სახელმწიფომ ამ ბოლოს დროს ერთხელ ქებულს ფრიტრედერობას თითქო ზურგი შეუქცია და ერთხელვე გმობილს პროტექციონობას მოჰკიდა ხელი იმოდენად თავისად გამოსარჩომად არა, რამოდენადაც სხვის სამტროდ და საზიანოდ.

## ახალი ამბავი

*** კავკასიის სამეურნეო საზოგადოებაში ივნისის 5-ს დანიშნული იყო წევრთა საერთო კრება; ამ კრებაზედ უნდა აერჩიათ ვიცე პრეზიდენტი, ორი წევრი გამგეობისა, მდივანი და ხაზინადარი. კრებამ ვიცე-პრეზიდენტად აირჩია თავ. ზ. ჯორჯაძე, გამგეობის წევრებად აგრონომები ხოჯაევი და გეევსკი და მდივნად—ბ-ნი იოსელიანი. უწინდელი ვიცე-პრეზიდენტი ი. ს. ხატისოვი ერთ-ხმად საპატიო წევრად ამოირჩია საზოგადოებამ.

*** ჩვენს გაზეთში გუშინ ნათქვამი გვქონდა, რომ ძაუგისაკენ გადასახლებულნი უკანვე ბრუნდებიან და ძველს ადგილებშივე სახლდებიანო. სრულებით სხვა ამბავი გვესმის იმ გადასახლებულებზე, რომელნიც საქართველოს ერთის კუთხიდამ მეორეს კუთხეში, ისევ საქართველოს მიწა-წყალზე, გადასახლდებიან ხოლმე. აგერ ოციოდე წელიწადი იქნება, რაც არაგვის და გუდამაყრის ხეობიდამ გადმოსახლებულან მანგლისისაკენ. ადგილი ისეთი ამოურჩევიათ, რომ ჰაერი გრილია, გაუჩენიათ ცხვარი და ძროხა და ახლა კარგად გაკეთებულან. პირველ ხანებში ცოტა ეძნელებოდათ თურმე, რადგანაც ხამს ადგილას უმეზობლობით ცოლშვილი უწუხდებოდათ; მაგრამ თან-და-თან გადმოსულები ემატებოდნენ, მრავლდებოდნენ და ახლა ხშირად ვხედავთ, რომ ახლო-მახლო სოფლებშიაც დაიარებიან და ქალაქთან კარგი ვაჭრობა აქვთ თუ შინაურის ფრინველითა და თუ ერბო-ყველითა. ამავე მანგლისისაკენ, სოფელ თონეთის ახლოს, ამ ოთხიოდე წლის წინად დაესახლნენ მოხევეები (თერგის ხევიდამ), იყიდეს მამული, ჰაერი აიტანეს კარგად, ცოლშვილი გადმოიყვანეს და ძალიანაც ემადრიელებიან მოსავალსა, მაგრამ ორი რამ აწუხებთ: ერთი რომ ცოტანი არიან მოსახლენი, ათიოდე კომლია სულ, და მარტოობა გვეძნელებაო. მაგრამ უმეტესად ის გარემოება ავიწროებთ, რომ ერთმანერთში უთანხმოება მოგვდისო. მიზეზი ის არის თურმე, რომ მამული ერთად იყიდეს, გადასახადში ყველას წილი უნდა ჰქონდეს და ზოგ-ზოგიკი ვერა ხდილობს ამ გადასახადს. მანგლისის ახლო-მახლო ადგილი საზოგადოდ კარგი შესაფერი ადგილია მთიულ ხალხისათვის, რადგანაც ტყეები აქვს, გრილი ჰაერია, დაცდა არ იცის და ციებ-ცხელება არავის გაუგონია. ამიტომაც არაგვისა, თერგისა და გუდამაყრის ხეობიდამ გადმოსახლებულთ აქ დაბინავება სარგებლობას აძლევს. მართალია, მარტოობა ძნელია, მაგრამ განა ღონის-ძიება არ არის, რომ ათი კომლი-კი არა, ორმოციოდე ერთად დაესახლოს? ამასთანავე არც ის ითქმის, რომ მანგლისის მხარე ისე მიყრუებული იყოს ქართველობაზე: ქართველთა სოფლები ძალიან დაშორებული არა აქვს მანგლისს. საზოგადოდ მანგლისის გარშემო ადგილი კარგი საბინაო ადგილია, მეტადრე მთის ხალხისათვის. ერთ დროს მთელი ეს მხარე ძალიან იყო დაშენებული; ნანგრევები ახლაცა სჩანს. მტრის შემოსევისაგან და არეულობის მიზეზით რომ შეწუხდა აქაური მოსახლეობა, ამ ასიოდე წლის წინად ერეკლე მეფემ მთლად საბარათიანო და საორბელიანოდამ აჰყარა ქართველობა და კახეთში დაასახლა. თუმცა მანგლისის მხარე ამ ჟამად საკმაოდ მოშენებულია, მაგრამ ცარიელი ადგილები იმდენია, რომ მთიულეთის და ხევის უმამულო ხალხს კარგად ეყოფა.

*** გორიდამ გვატყობინებენ: ამ თთვის სამს გორის საზოგადო ბაღში მოხდა შესანიშნავი ამბავი, რომელმაც მთელი ქალაქი აალაპარაკა და რომელზედაც დღესაც ლაპარაკობენ. ერთის სიტყვით, ეს ამბავი „დღის ვარმად“ გადაექცათ გორელებსა. აი რა მოხდა. საღამოს ჟამზე, ბინდისას, ბაღში, სხვათა შორის, დასეირნობდა მოხელე დ. დ—ი, შეხვდა ერთს ახალგაზდა თავმომწონე აზნაურს ი. ყ—სა და მწვავე სიტყვა თურმე გადუკრა რაღაზედაც. უნდა მოგახსენოთ, რომ ისინი წინადვე იყვნენ ურთიერთზე ამრეზილნი. შეჰყვნენ ლაპარაკსა და მიადგნენ ბნელსა და მივარდნილს ადგილას ბაღისას. აქ მოუვიდათ ჩხუბი. აზნაური ღონიერი აღმოჩნდა და სძლია მოხელეს. დაჩაგრულმა გაიბა „მიშველეთ“-ის ძახილი, მაგრამ მალე თვითვე გაშველდნენ: მოხელე ღრიალით გაიქცა ბაღიდამ უნუგეშოდ დატოვებულ მხლებელთაგან, რომელნიც თუმცა თან ახლდნენ თურმე ჩხუბამდის, მაგრამ სადღაც გადაიხვეწნენ; აზნაურმა-ღა დაიხურა ქუდი და მშვიდობიანად წავიდა სახლსა თვისსა. მიზეზი ჩხუბისა და მოხელეს დამარცხებისა ორია: პირველი ისა, რომ როცა შეხვედრია აზნაურსა, მოხელეს „გველურად“ (ასე ამბობს აზნაური) უთქვამს: „შენი კომიტეტი როგორ არისო?“ ამ სიტყვებს გამოუწვევია ჩხუბი. მაგრამ თავი-და-თავი მიზეზი ჩხუბისა უფრო დიდია, უფრო პატივ-სადებია, რომელიც, სხვათა შორის, აგვიხსნის ზემოდ მოყვანილის ფრაზის შინაარსსაცა: 23-ს მაისს რომ მცხეთაში რკინის გზის მოხელეს ფული აგლიჯეს ჩანთითა, მაშინ პოლიცია დაფაცურდა. ზემოდნახსენებმა მოხელემ დ—მა არც აცივა, არც აცხელა, ყოვლის უმიზეზოდ, ყოვლის უსაბუთოდ დაადო ხელი ბ-ნ ი. ყ—სა და პროკურორის თანაშემწე ბ-ნ სტალთან დაასმინა, რომელიც მაშინ გორში იმყოფებოდა. მაგრამ, ამბობენ, პროკურორმა ყური არ ათხოვა ამ ყოვლად უსაფუძვლო დასმინებასაო და ყ—ი გაანთავისუფლა. ამ საქმემ ჩაიარა, მაგრამ სიტყვამ «კომიტეტმა»-კი ხელ-მეორედ აშალა საქმე და ჩხუბი გააჩაღა. ნაცემ-ნატყები მოხელე თურმე ჩივის და, როგორც ყოველთვის არის ხოლმე ამ შემთხვევაში, ესეც იმ ხავს მოჰკიდებია: „სამსახურის შესრულების ჟამს მომაყენა შეურაცხყოფაო“.

*** ორთაჭალის მხარეს, მირზოევის მოედანზე, უპოვნიათ თეთრებში გახვეული ერთი ახლად დაბადებული მკვდარი ყმაწვილი. ამ საქმეზედ გამოძიება სწარმოებს.

*** ამას წინად რომ დიდი ქარიშხალი იყო, იმ ქარს ბერძნების წმინდა ნიკოლოზის ეკკლესიის სამრეკლოს ჯვარი გადმოუგდია და გუმბათი დაუქცევია.

*** გაზ. «ნოვ. ობოზრ.» შეუტყვია, რომ კავკასიის სასწავლო ოლქის მზრუნველს უთხოვნია საერო განათლების სამინისტროსათვის, უფრო მომეტებული შემწეობა უნდა მიეცეს კავკასიის დაბალ სკოლებსაო.

---

რმე და თუ რკინის აფშარით არ მიაბმენ თავის ახურზე, შენი მტერი, ლომ-გმირიძის ულაყებს გაუწიხლავი არ გადაჰრჩებათო.

წესმწყობელიძე მედვედოვიძეს დაუჰერნია და უთქვამს: „ჩათქვი რაცა ჰთქვი, თორემ ვაი შენი ტყაპუჭის ბრალიო“. „ჩავთქვა, არ ჩავთქვა, epur si muove, გალილეისა არ იყოსო“. „არა, მაშ ერთი მითხარ, რა გწადიანო?“ „ისა, თქვენო უკულმართობავ, რომ „ვინც მიყვარდა, იგივ მიყვარს, ის არი; ჩემი მკვლელი, ჩემი მხსნელი ის არიო“. [6])

ვილაცა კატუნოვს ფაზიანში გამოუვლია შუა-ღამისას და გულ-მაგარაშვილის საქათმიდამ ბატი მოუპარავ, მაგრამ იქვე ხრიხალშივე გაუბაწრავთ; ზედატანებით ბ-ნი გ. სუნდუკიანცის პეპოც იქ მოსულა და უთქვამს: „აი ჩაძვერ მიწაში მაგ შენის პატიოსანის ტანისამოსითო“. წარმოიდგინეთ, ისეთის კრეტინის სიჯიუტით გაჯიუტებულა კატუნოვი, რომ: ეს ბატი თქვენი კი არაღი, თუქურმიშიდამ მომყავო. ერთიც ვნახოთ პეპოს მეგობარი კაკულაც იქ მოვარდნილა და დაუჭყივლია: „მიმიშვით, მაგას ერთი ალიყული ვკრა ემ საათში, რომ საპოგის ქუსლებზე 2 სამჯერ ერთმანეთზე შემოტრიალდესო“. ეხლა კი უკადრნია კატუნოვს და გაუშვია ხელი ბატისათვინ. ეჰ, თქვენ კაცი ბძანეთ, ბიძა-ჩემო, თორემ ამისთანები, ხომ ყველგან არიან.

გამოფხეკილიძე ნაიბთან მისულა და შეუჩივლია: „უფალო ნაიბო, გაგონილა ეგეთი უსამართლობა, რომ ზოგი ჭამითა სკდება, ზოგი შიმშილით კვდება? ჩემთვის არსაით სამუშაოა, არსაით ლუკმა პური, არსაით გაკითხვა და არსაით შებრალება. ნეტავი ორიოდე აყაჭებული მჭადი მაინც მეგდოს საგზაოდ, რომ საითმე გადავხვეწილიყავო“. „მე კაი ჭკუას გასწავლი: წადი—ლიძესთან და მოახსენე, ასე: ჩინებული მონადირე გახლავარ და მცირეოდენს თუ მიბოძებთ, რასაც კი ამოვწყვეტავ, ორ-წილს თქვენ მოგართმევთ-თქო და იმ წამსვე გადმოგიყრის გროშებსო“.

დაბრუნებულა გამოფხეკილიძე და უთქვამს: „სამი აბაზი მაჩუქეო“. „შენ ეგ სამი აბაზი აქ მომე, მე მანათიანს მოგცემ და ესაც შენი საგზაო საგძალიო“, უბძანებია ნაიბს და როცა გამოურთმევია, ჰიტლაყი ამოუკრავ და უთქვამს: „გახსოვს შარშანაც რო საითლაც გადაჰვარდი, შე ყურუმსალო, და შარშანდელი ფული დღევანდლამდის შენზე კვნესოდა,—ეს იმაშიო“, და დარჩომილა ყბა-დაღებული, საცოდავი „მოტყუებული მატყუარა“. [7]) ბევრისათვინ შეუჩივლია გამოფხეკილიძეს ეს ამბავი, მაგრამ „დაუჩევარს ნუ დააჩევ, დაჩვეულსა ნუ მოაკლებო“, ამითღა უნუგეშებიათ.

დაიცა, დაიცა, გეთაყვანეთ, ერთი რა მომაგონდა ეხლა... არა, თუ ესაც არ მოგახსენედ, ავად გავხდები და რად გინდა ჩემი ცოდვა. აი ვიწყობ, მოქანცვას არ დავიტყობ, ოღონდ თქვენ მოიხსენეთ, ბიძია. ყველანი რომ სამართლიანი ანგელოზები იყვნენ, მაშინ, რასაკვირველია, აღარც უსამართლოება იქნებოდა და აღარც ჯიბე-შახეული მოსამართლეები გვეყოლებოდნენ. ყველა ცხოველს ინსტიქტი მაინც აგრძნობინებს, რომ ის თავის არსებობისათვის იბრძვის, მაგრამ იმას-კი როდი ამჩნევს ყველა, რომ იმისი ბრძოლა სამართლიანია თუ უსამართლო. აი ამისათვის გაუჩენია კიდეც ღმერთს მოძღვარნი კეთილ-ზნეობისანი...

განათლებულ ხალხს ათასი მოძღვარი ჰყავ: ჯერ იმისი ჭკუის კოლოფიც იმისივე მოძღვარია, მერე ლიტერატურაც იმისი დამრიგებელია, ამასთანავე თეატრიც იმისი გამოცდილის გზის მაჩვენებელია, ამხანაგიც, ნათესავიც, ნაცნობიც, უცნობიც და სხვანიც, მაგრამ ადამიანის ბუნება ისე ძნელადა წმდება, როგორც ვიცით, რომ განათლებულებშიაც-კი გამოდის განათლებული ავაზაკი. მაშ რაღა უნდა ექმნა სოფლებში მდაბიო ხალხს, რომლის სული და ხორცი, ბედი და უბედობა, ვაჟ-კაცობა და ლაჩრობა, კეთილ-სინიდისიანობა თუ არ-კეთილ სინიდისიანობა, ყველა ესენები მარტო „სულის მამისა“ და მასწავლებლის ხელშია და ისინიც რომ ღმერთს არ ექნას? თქვენი მტერი, რომ რაღაცა იქნებოდა მაშინ ის ერი.

«როგორიც ღვდელიო, იმისთანა ერიო», იმისთვის რომ მდაბიო ხალხის ბუნება თეთრს ქაღალდსა ჰგავს, რომელიც ნარგიზ-ფერს ნარგიზად იტყობს და შავს შავად. აი სწორედ მეც აქა ვარ და სამწუხაროც ეს არის რომ ზოგიერთ ადგილებში ჩვენი გლეხობაც იმასა ჰხედავს, რაც სასოებას სასო-წარკვეთილებაში აგდებს და მის ზნე-ყოფა-ქცევას ავს ათვისებინებს. აი, მაგალითად: გაგონილა რომ მ—რი ისე აშრობდეს სავსე ღვინის ჯამებს, თითქო ეხლა ამოულიათ ქურიდამაო? გაგონილა, რომ მკითხავის სიტყვით მ—რი თავის სახლობით სამის დღის სავალზე მირბოდეს სალოცავად? გაგონილა, რომ მ—რის ეზო-ყურეს სანაგვის სურნელება ჰზნედავდეს? გაგონილა, რომ წიგნებში ჩახედვას სამისნოში ჩახედვას ამჯობინებდეს მ—რი? გაგონილა, რომ საუფლო დღეს ზარის ხმა არ ისმოდეს, მინამ ტაბლაობა არ იყოს? გაგონილა რომ მ—რი გირაოებს ატანინებდეს? გაგონილა რომ მ—რი ხალხში უწმაწურსა ლაპარაკობდეს? გაგონილა რომ მ—რი ლაველასობდეს და დონ-ჟუანობდეს ისე, რომ ეს ამბავი ბაღლმაც იცოდეს? გაგონილა რომ მ—რი 25—50% ფულს ახესხებდეს? გაგონილა, რომ სიბრაზით გაფთრებულმა მ—რმა მ—რს წიხლი ჩასცეს და რჯული და მასაბი აგინოს სახალხოდ? გაგონილა რომ... გაგონილა რომ თქმა გინდოდეს და პირში ბურთის ჩაჩრისა გეშინოდე?

გაგონილა, რომ გაზეთში ჩახედვას სარკეში ჩახედვას რჩეობდეს „მასწავლებელი“? გაგონილა, რომ „მასწავლებელი“ მოსკოვის სუხარივით იმტვრეოდეს, თავზე მამალ ბუზს არ ისვამდეს და, თუ დააჯდა, იმასაც მოსაკლავად დასდევდეს თავისის „ტროსტით“? გაგონილა, რომ გლეხი პურს იფიცავდეს და ცივილიზაციის ნაბოლოვარში დაფერილი „მასწავლებელი“-კი ეუბნებოდეს: პურს რა მადლი აქვო? გაგონილა რომ ჯერ ვისაც თითონვე ეჭირება მასწავლებელი, ისევ მასწავლებლობდეს? გაგონილა, რომ სიიაფის გულისთვინ ლოლიკას უკუ აგდებდნენ? გაგონილა, ბიძა ჩემო? არა, გაგონილა?.. დიახ, ვიცი, ვიცი, მეც ვიცი, რომ თუ ყველგან არა, ბევრგან მაინც, გაგონილა და სამწუხაროც ეს არის, რომ ხათრი, პირ-ფერობა, უსამართლო სიბრალული, შიში, უთავბოლობა და კვეე-მალულობა იფარავს კიდეც ამოდენა „გაგონილა“-„არ-გაგონილებს“ მრავალთა საუბედუროდ.

„ცოდვა გამჟღავნებული სჯობიაო“, იმისთვის რომ ქვეყანაში არა დაიმალება-რა გარდა იმისა, რაც ჯერ ჰორაციოს მეცნიერებას სიზმრადაც არ მოჰლანდებია. ო, ღმერთო ჩემო! სად არი პატრონი, თორემ განა მეფე ფერდინანდ პირველის დევიზი უნდა დავიწყებოდათ, რომელიც იტყოდა ხოლმე: «დეე ჰმეფობდეს სიმართლე, თუნდაც რო მის გამოისობით ქვეყანა დაილუპოსო», და მაშასადამე იმ ერთს უფრო სასტიკად არ უნდა აძევებდნენ იქიდამ, სადაც მას არ ეკუთვნის ყოფნა მრავალთა საუბედუროდ? ეჰ, ბევრი ყბედობაც თავხედობაა. „Sapienti sat!“

დ. მაჩხანელი

(შემდეგი იქნება)

---

[6]) გნ. ნ. ორბელიანისა

[7]) ლესინგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

*** კავკასიის სამკურნალო საზოგადოებაში ამ მოკლე ხანში წაკითხულ იქნებაო, ამბობს იგივე გაზეთი, მოხსენება საქონლის ჭირის შესახებ. ამ რეფერატის ავტორი ამტკიცებს, რომ საქონლის ჭირი შეიძლება აცრით მორჩესო, სწორედ ისეთის აცრიათ, როგორც უცრიან ყვავილს ანუ ცოფსაო.

*** გაზ. „კავკაზსა“ სწერენ ქუთაისიდამ: 1884 წ. ქუთაისში დაარსდა განყოფილება კავკასიის სამეურნეო საზოგადოებისა. რაკი საზოგადოება დაარსდა, ქუთაისის საზნაურო ბანკმაც 1000 მან. შესწირა. პირველად ძრიელ ცდილობდნენ ახალის საზოგადოების წევრნი სადგურის მორთევას, მაგრამ ახლა საზოგადოება არც-კი არსებობს და არც თავს-მჯდომარე, არც მდივანი, არც ერთი მხნე წევრი აღარ არისო!..

*** იმავე გაზეთსა სწერენ სუფსის რკინის გზის სადგურიდამ: ამ ცოტა ხნის წინად ერთს გზის ყარაულს დაეცნენ ავაზაკები და წაართვეს 8 მან. ივნისს ოთხს კიდევ ნატანებისა და სუფსას შუა ერთი კალატოზი გაცარცვეს და ექვსი თუმანი წაართვესო.

*** ამას გარდა ამ სადგურის ახლო-მახლო ავაზაკების ბრბო დაიარება (ბრბოში ამბობენ შვიდი კაციაო) და გზის ყარაულებსა სცარცვამენ სწორედ იმ დროს, როდესაც ისინი ჯამაგირს იღებენო. ყარაულები შიშით თავს ანებებენ თავიანთ ადგილს და ამიტომ ამ ადგილზე მატარებლის გავლა ძრიელ საშიშოაო.

*** უკანასკნელ ნიაღვარს დიდძალი ქვა და ქვიშა ჩამოუტანია მთებიდამ მთაწმინდის ქუჩებზე. მართალია ეს ქვიშა და მიწა ქუჩის ნაპირებზე მოაგროვეს, მაგრამ მაინც კიდევ ვერც კაცს გაუვლია რიგზე და ვერც ეტლსა.

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

„ომი არ იქმნება“, „მშვიდობიანობა უეჭველიაო“, ამბობენ სამზღვარ-გარეთის გაზეთები. ზოგი მათგანი წინასწარმეტყველობს და მკითხავივით იძახის: ამა-და-ამ დრომდე ომი არ იქნება, ზაფხულს მშვიდობიანად გავატარებთო. მეორე ამბობს, არა, მთელს ზაფხულს-კი არა, მაგრამ ამ ზაფხულის პირველ-ნახევარს-კი უსათუოდ მშვიდობიანობა არ დაირღვევაო.

ოფიციოზური გაზეთი „Post“-იც წინასწარმეტყველობს,

რომ ევროპაში მშვიდობიანობა დამყარდა; დიდხანს გასტანს თუ არა ეს მშვიდობიანობა, ძნელი სათქმელია, მაგრამ ამ რამდენსამე თვეს-კი ომი მოსალოდნელი არ არის და ზაფხულს ევროპა მშვიდობიანად გაატარებსო.

გერმანულს გაზეთს მაინც გული არ უსვენებს და აღმოსავლეთისა და დასავლეთისკენ იყურება:

საფრანგეთთან ომის შიში აღარ არის, ცოტას ხანს მაინც. ეს შიში მაშინ გაჰქრება სრულიად, როცა ფრანგები დარწმუნდებიან, რომ გერმანია სუსტი არ არის და მაშინაც-კი შეიძლებენ პასუხი გასცენ მტერსა, როცა აღარ იქმნებიან ქვეყანად ის სამი მოხუცი, რომელთაც განაძლიერეს და განადიდეს გერმანიაო.

აღმოსავლეთს მეზობელზე გაზეთი ამბობს,

რომ ოფიციალური მისი წარმომადგენელნი სცდილობენ, უმადურობა არა ჩამოაგდონ-რა ჩვენსა და თავიანთ ქვეყანას-შუა. მართალია, ეს ქვეყანა ისე არ ექცევა გერმანიას, როგორც მეგობარს, მაგრამ არც იმას ამბობს, რომ მეჯავრება ნემეციო. თვით საზოგადოებაში-კი ჯერაც არ განელებულა სიძულვილი ნემეცებისა და ეს გარემოება კარგი ნიშანი არ არის.

ევროპიის გაზეთებს ჰგონიათ, რომ მშვიდობიანობა არ დაირღვევა. ევროპიის საზოგადოებაც, ანუ უმრავლესობა მშრომელის ხალხისაც, რასაკვირველია, წინააღმდეგია ომისა.

**

მოლჩანოვს ძალიან უყვარს თავისებურობა, ორიგინალობა. აბა ორიგინალობა არ არის, რომ დღევანდელს თავის კორრესპონდენციაში ეს ბატონი გაცხარებული ამტკიცებს, კონსერვატორების, ანუ ტორიების კაბინეთი ინგლისში ყოველთვის წინააღმდეგია ომისაო.

წინადაც ვამბობდი და ეხლაც ვამბობ, რომ ჩვენთვის უფრო საშიშია ლიბერალთა სამინისტრო, ვიდრე კონსერვატორებისა. კონსერვატორები ომის მსურველნი არიან მხოლოდ სიტყვით.

ჩვენ-კი გვგონია, რომ კონსერვატორების დასი უფრო მძლავრია საგარეო პოლიტიკაში, უფრო გამბედავია სიტყვითაც და საქმითაც და უფრო მეტს ფხასა და რიხს იჩენს საგარეო საქმეთა მიმართვაში, ვიდრე ლიბერალთა დასი, რომელიც, როგორც მაგალითად გლადსტონი და მისი მომხრენი, ძლიერია შინაგან საქმეთა მოწყობასა და გამართვაში. მოლჩანოვი, ეტყობა, ორიგინალობას გაუტაცნია და უნდა ამ საქმის შესახებაც თავისებური მსჯელობა გამოიჩინოს. ყველა, რომელსაც სხვის ჭკვიანური ლაპარაკიც ვერ შეუგნია, მუდამ აკვირვებს ქვეყანას თავისებურის დაუცნაურის ახირებითა. მოლჩანოვისათვისაც გზა დაგვილოცნია.

## უცხოეთი

**ბოლგარია.** ვენელი კორრესპონდენტი „Journal des Dèbats“-ისა დეპეშით აუწყებს ამ გაზეთს, რომ ბევრმა ბოლგარიის ოფიცრებმა, სარეგენტო მთავრობის თაოსნობით და წაქეზებით, სოფიასა, ფილიპპოპოლსა, ვარნასა და რუშჩუკში შეადგინეს კომიტეტები და გარდასწყვიტეს, რომ პრინც ბატტენბერგს დელეგატები გაუგზავნოთ და გამოუცხადოთ: ბოლგარიის ჯარს განზრახვა აქვს თავის მთავარ-სარდლად თქვენ ამოგარჩიოთ ისე, რომ თქვენ ისევ გერმანიაშივე დარჩეთ და მანდიდგან მოახდინოთ ხოლმე ჯარის ცვლილებათა შესახები განკარგულებანიო. მაიორი ანდრეევი უკვე წასულა გერმანიაში, რომ პრინცს შეატყობინოს ეს ამბავი და მოამზადოს დელეგატების დასახვედრადაო.

— ოსმალეთის მიერ დიდთა სახელმწიფოებთან წარგზავნილს ნოტაზე, რომ დავაბოლოვოთ როგორმე ბოლგარიის საქმე და თქვენი აზრიც წარმოსთქვით ამ საქმის გადაწყვეტის გამო, თუ როგორ უფრო იქნებოდა სასურველი მისი დაბოლოვებაო, ოსმალეთს მოსვლია პასუხი აგრეთვე ბოლგარიის სარეგენტო მთავრობისაგან. ამ პასუხში ნათქვამია თურმე, რომ ბოლგარიის სამთავრო ტახტის მთავრად მხოლოდ ორი დასახელებული კანდიდატი შეიძლება ამორჩეულ იქმნესო: ეს ორი პრინცი ალექსანდრე ბატტენბერგი და პრინცი კობურგიისაო. ხოლო თუ ოსმალეთი უარს-ჰყოფს ამ კანდიდატებს და მსჯელობაში არ მიიღებს ბოლგარიის სარეგენტო მთავრობისა და ერის სურვილს, მაშინ თვით ბოლგართა მიერვე იქმნება მოწვეული დიდი საერო კრება სამს ივლისს ტირნოვოში და ამ კანდიდატებში ერთ-ერთი ამორჩეულ მთავრადაო.

**სერბია.** სერბიის სამინისტრო მირს დაეცა. კოროლმა ხრისტიჩსა სთხოვა სამინისტროს შედგენა და ხრისტიჩმა უარი განაცხადა. ხმა გავრცელებიათ, ამბობენ სამზღვარ-გარეთის გაზეთები, რომ ახალის სამინისტროს შედგენა მინდობილ ექმნება რისტიჩსაო. ჩვენ უკვე ვიცით დეპეშიდგან, რომ რისტიჩს მიენდო სამინისტროს შედგენა და ეს სამინისტრო უკვე შედგენილ იქმნა კიდეც. რისტიჩი თხოულობს თურმე, რომ სამხედრო ბიუჯეტი უნდა შემცირდეს 60%-თაო.

## საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილები

(წერილი მეექვსე*)

Записки общества любит. Кавказ. Археологіи, книга I, изд. подъ редак. помощ. предсѣд. общ. Ад. Берже и члена комит. общ. Дим. Бакрадзе. Тифлисъ 1875 г.

წერილი დ. ზ. ბაქრაძისა ფრიად შესანიშნავია. „Кавказъ въ древнихъ памятникахъ христіанства“ არის დიდი განძი იმათთვის, ვისაც ჰსურთ შეისწავლონ და გაიცნონ საქართველოს ქრისტიანობის დროის ნაშთნი. ეს თხზულება, ჩვენის აზრით, პატივცემულ და დაუღალავ ისტორიკოს-არქეოლოგის უკეთესს სამეცნიერო ნაწერებს ეკუთვნის.

ეს გრცელი წერილი, როგორც ზემოდაც ვსთქვით, შეიცავს 19—177 გვერდს „Записки“-სას. ამ წერილში აღწერილია 159 ნაშთი, ესე იგი ტაძარ-მონასტერნი, მოთხრობილია მათი ისტორია ანუ თავ-გადასავალი და მოხსენებულია მათი აწინდელი მდგომარეობაც. იგივე წერილი პირველად დაიბეჭდა „საარქეოგრაფიო კომისიის აქტების“ მეხუთე ტომში (993—1107 გვერდი) და მეექვსე ტომის მეორე ნაწილში (885—903 გვერდი). აღწერილნი ნაშთნი არსებობენ: სამცხე-საათაბაგოში, ოსმალეთის საქართველოსა, იმერეთსა, გურიასა, სამეგრელოსა, სამურზაყანოსა, აფხაზეთსა, სვანეთსა, კახეთსა, ქართლსა და თითო-ოროლა სომხეთში. მაგრამ ყველა ნაშთების აღწერილობა ჩვენ თხზულებაში ვერ მოექცა სხვა-და-სხვა მიზეზების გამოვო.

ნაშთების აღსაწერად ჩვენ თვალით ვნახეთ და გავსინჯეთ ბევრი მათგანიო. აღწერის დროს მივმართეთ საკუთარს ჩვენ წერილებს და ვისარგებლეთ ადგილობრივ მატიანებით და ქრონიკებით და აგრეთვე მრავალ უცხოელ და მოგზაურთა ნაწერებითაო. ეს მასალანი თავ-თავის ადგილას გვიჩვენებიაო.

ქრისტიანო ნაშთნი საქართველოსა და სომხეთში არსებობენ მე-IV საუკუნიდგან ქრ. აქეთ. ხშირად დრო მათის აშენებისა არ არის ნაჩვენები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შეგვიძლიან შენობის ყაიდა გავიცნოთ და დასახლოვებით შევიტყოთ, რომელ საუკუნეში არიან იგინი აგებულნი. ამ ნაშთებში ყველაზე უძველესთა თავისი სახე მიიღეს კერპობის დროინდელ ტაძრებისაგან. იმ ნაშთების ყაიდა უფრო მარტივია, რომელნიც უფრო ძველს დროს აუშენებიათ. მათ ან გუმბათი არა აქვთ, ან როგორღაც აწოწოლავებულნი არიან: კედლები დასატულნი არა აქვთ. შემდეგში-კი, მეტადრე მე IX—XIII საუკ., ამ ნაშთებს განსაკუთრებული სახე და ფერი დაედო. ეს განსაკუთრებული სახე ანუ ყაიდა წარმოსდგა ბიზანტიურ, არაბულ და ახალ-გოთიურ ყაიდების შერევნისაგან. ყოველის ნაწილის მოყვანილობა და მოხაზულობა მოგრძო ოთხ-კუთხე სახისა გახდა, შაქრის თავის მზგავსი გუმბათი ზედ შუაზე დაადგა ტაძრებს, კედლები და სვეტები მოირთვნენ მრავალ გვარ და შესანიშნავ ჩუქურთმა-ქანდაკებითა და სახეებითა. ყველა ეს გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ დროს (მე-IX—XIII ს.) ხუროთ-მოძღვრება მაღალ ხარისხზე მდგარა. შემდეგში-კი იგი ხელოვნება თან-და-თან უკან-უკან მიდის. წარწერანი და მინაწერნი ამ ნაშთებს ან გარედამა აქვთ, ან შიგნიდამ. მათ საცავში ინახებოდნენ ტყავზე ნაწერნი მატიანენი, ან ქრონიკანი, ან სიგელ-გუჯარნი, რომელთაცა ჰქონდათ დიდი მნიშვნელობა ერის ყოფა-ცხოვრების, ისტორიის და გეოგრაფიის საცოდნელად.

ტაძარ-მონასტრებს უძველეს დროიდგანვე დიდს ყურადღებას აქცევდნენ როგორც მეფენი, ისე ერი; მათ სწირავდნენ და უმტკიცებდნენ მამულებსა და ყმებს, ძვირფასს სამკაულებს. უმეტესმა ნაწილმა შეწირულის ნივთებისამ მოაღწია ჩვენამდე. ზოგიერთნი სამკაულნი თვისის ღირსებით და ხელოვნებით ეხლაც აკვირვებენ კაცსა. ამას გარდა რამდენსამე მონასტერს შესამჩნევი ადგილი ეჭირა ერის ცხოვრებაში. იგინი იყვნენ სკოლანი, განათლებისა და მეცნიერების გამავრცელებელნი. აქ, ამ სკოლებში, უმეტესს ნაწილად იზრდებოდნენ საერო და სასულიერო მოღვაწენი საქართველო-სომხეთისანი. ამას გარდა მათივე კარი-ბჭე, შიშიანობისა და მტრის შემოსევის ჟამს, ხშირად შეიქმნებოდა ხოლმე ციხე-ბურჯად და თავ-შესაფარად ერისა და მეფე-დიდებულთათვის.

შემდეგ ამისა ბ-ნს ბაქრაძეს მოჰყავს სია იმ ნაშთებისა, რომელნიც ქვემოდ აღუწერია. ყველა იგი ნაშთი განაწილებული აქვს, მიხედვისამებრ მათის აგების დროისა. ამ სიიდამ სჩანს, რომ მეოთხე საუკუნეში აგებულა 6 ტაძარ-მონასტერი, მე-V-ში—7, მე-VI-ში—14, მე-VII-ში—9, მე-VIII-ში—1 (არტანუჯისა), მე-IX-ში—6, მე-X-ში—19, მე-XI-ში—26, მე-XII-ში—9, მე-XIII-ში—15, მე-XIV—8, მე-XV-ში—4, მე-XIV—5 მე-XVII—4, მე-XVIII—6 და მე-XIX—1.

ამ წერილში თითო ტაძარი სხვა-და-სხვა საუკუნისა მაინც უნდა აგვეწერა, რომ მკითხველებს ცხადად დაენახათ, თუ მართლა რა განსხვავება არსებობს ყოველის დროის ტაძრების ყაიდებს შორის, მაგრამ წერილი ისეც ფრიად გაგრძელდა. ამიტომ ვურჩევთ ყოველს მსურველს შეიძინოს ეს ფრიად ძვირფასი ნაწარმოები ისტორიკოსისა და თვითონ შეისწავლოს ყოველი ნაშთის ვითარება.

წიგნს არ აწერია ყდაზედ, თუ ფასი რამდენი აქვს. რამდენადაც მე შევიტყე, წიგნი იაფად არა ღირს. მისი ფასი პირველად უნდა ყოფილიყო არა ნაკლებ 8—10 მან. ხოლო ეხლა იგი, რადგან ძნელად საშოვნელი შეიქმნა, მგონია, 15—20 მან. ძლივს იშოვება.

ბოლოს Записки“-ს დამატებაში განმარტებულია ორი ძველი წარწერა (ქვაზედ), რომელთაგან ერთი 1867 წ. უპოვნიათ მცხეთის ახლოს და მეორე შიგ მცხეთაში 1872 წ.

პირველი წარწერა ბერძნულია და შეიცავს შემდეგს: „იმპერატორი კეისარი ვესპასიანე, ავგუსტო, დიდი ღვდელ-მთავარი, ტრიბუნის ღირსებით შემოსილი მეშვიდეჯერ, იმპერატორი მეტრაუმეტე მეთოთხმეტეჯერ, კონსული მეექვსეჯერ და მეექვსედ დანიშნული მამა მამულისა, ცენზორი და იმპერატორი ტიტე ცეზარი, ძე ავგუსტოსი, ტრიბუნად შემოსილი მეხუთეჯერ, კონსული მეოთხეჯერ, დანიშნული მეხუთედ, ცენზორი და დომიციანე ცეზარი, ძე ავგუსტოსი, კონსული მესამედ, დანიშნული მეოთხედ, იბერიელთა მეფეს მიტრიდატს, ძესა ფარსმანისა და იამაზდისას, მეგობარსა კეისრისას და მეგობარსა რომის ერისას აუგეთ ციხე“.

მეორე ნაწერი ურაულია. აი მისი თარგმანი. პირველი სტრიქ. 131 წელი ასირიელთა გადასახლებისა; 2 სტრ. რეხაბია; 3 სტრ. შენ აღდგები მკვდრეთით დატოვებულ ბელტიდგან; 4 სტრ. სასახლესა შინა საუკუნედ განსვენებულთა; 5 სტრ. წმიდანთა თანა; 6 სტრ. მონა მცნებისა მაღლისა და 7 სტრ. უძლური ამაღლდება.

მესამე წარწერა ლურსმებრივი, ნაპოვნი გოჭის ტბას ახლოს, ჯერ წაკითხული და გაგებული არ არის.

ყველა ამ სამ წარწერების პირი გადმოღებულია ფოტოგრაფიით და ჩვენ მიერ განხილულს წიგნში ჩართულია.

დასასრულ ვსტყვით, რომ ძრიელ კარგი იქმნებოდა დ. ბაქრაძის თხზულება გადმოეღოთ ქართულად და ცალკე წიგნად აღებეჭდათ. და თუ გამომცემელი წიგნს ჩაურთავდა თვით ნაშთების გეგმასა და სურათებსაც, მაშინ ხომ, რაღა თქმა უნდა, შესამჩნევ განძს შესძენდა საქართველოს ისტორიას.

მ. ჯანაშვილი

*) იხ. ივერია № 107.

## გლდანელის პასუხად

„ივერიის“ მე-109 №-ში დაბეჭდილი, გლდანელის წერილი. ამ წერილით გლდანელი მიწვევს საჭიდაოდ და საზოგადოდ ფალავნობაზედაც საუბრობს. დიაღაც საბუთი გვაქვს ვილაპარაკოთ ფალავნობაზედ. საქართველოში ყოველთვის ყოფილან გამოჩენილი ფალავნები. სხვები რომ არ ვახსენოთ, საკმაო იქნება მოვიგონოთ ხიზანაშვილი და კოპიტაშვილი, რომელნიც უსასყიდლოდ აცქრიალებდნენ სეირს დარიბს, მდაბიო ხალხს და მხოლოდ მდიდრის სახუქარს სჯერდებოდნენ. ამ ფალავნებს ის სანაქებო ზნეც ჰქონდათ, რომ თუ არ განთქმულ მოჭიდავეს, ნაყარ-ნუყარს არ დაეჭიდებოდნენ. ეხლა ასე აღარ არის; გლდანელი თვითონვე აღიარებს, რომ ეხლა ისეთი დრო არის, როცა ყველაფერი დაწვრილმანდა და სხვათა შორის ფალავნობაცაო. რა გაეწყობა.

ხოლო რაც მე შემეხება კერძოდ, ამას მოვახსენებ გლდანელს, რომ უწინ ჩემს დღეში არ მეჭიდავნა და პირველად მაგას შევეჭიდე ბათუმში. დამსწრე ბევრი იყო. გლდანელი პირ-დაღმა დაეცა მიწაზედ და გაგვაშორეს ერთმანეთს. მეორედ კიდევ ტფილისში დავიჭიდეთ, — მაშინ მე გამოვიწვიე. მეორედაც გლდანელი ზურგზედ მეყვდა გაჭიმული, მაგრამ ეგ კი ორსავე ძლევას არაფრად აგდებს და ამბობს, საეჭვო იყოო. შეიძლება ამას ფიქრობდეს, რომ ორჯელვე შემთხვევით დავმარცხდიო. შესაძლებელია: ჭიდაობაში მარცხი და ფათერაკი ერთის წამის საქმეა და ხშირად

ორჯელაც მოუვა კაცსა, მაგრამ ამ შემთხვევაში მე გლდანელის მაგალითს არ მივბაძავ. იმას ჩვეულებადა აქვს, თუ ერთხელ როგორმე დასძლია გამოჩენილი ფალავანი, ალთი-ბაღუდისა არ იყოს, გინდ საჭკუო ძლევაც იყოს, მერე აღარ ეჭიდავება. ამ გვარად მოიქცა გლდანელი ეგნატაშვილს და ჭოხისხველს. მაშ მეც სრული უფლება მაქვს ვუპასუხო გლდანელს, რომ ჯერ იმათ დაეჭიდოს ხელ-მეორედ და, თუ კიდევ მოერია იმათ, მაშინ მეც გამოვალ საპირდაპიროდ. მანამდე-კი ტფილისში, სადაც უფროს-უმცროსიანად ყველა მისი მომხრე და ქომაგია, მე მას მესამედ აღარ დავეჭიდები; ქუთაისში-კი უოკელთვის მზადა ვარ. იქ მობძანდეს, როცა უნდოდეს!.

მეგრელი ნესტორ ესებუა

# გასართობი

**სამუსიკო ნოტების დასაწერი იარაღი.** მეტად ძნელი რამ არის ნოტებით გადაღება ხმებისა თვით სიმღერის დროსა. უკეთესად დახელოვნებულ კომპოზიტორებსაცკი უძნელდებათ სიმღერის ანუ საკრავების დაკვრის დროს გალობის დაწერა ნოტებზედ; და თუ სიმღერა ან საკრავი აჩქარებულია, თითქმის შესაძლებელი არა ხდება თან მიყოლებით დაიწეროს. ეხლა ამ სიძნელეს ჰშველებია. ამ დღეებში პარიჟის აკადემიაში წარუდგენია ბატონს კარპანტიეს ერთ გვარად მომართული იარაღი, რომლითაც შეიძლება დაწერა ნოტებისა, რაც უნდა აჩქარებული სიმღერა იყოს, ან საკრავი. ეს იარაღი სდგას ფორტოპიანოს გვერდით, გაშლის ტელეგრაფისათვის სახმარებელ ქაღალდის ლენტსა, მუსიკის მცოდნე უკრავს ფორტოპიანოს, რაც უნდა, და ლენტზე იწერება ხაზებით. მერე ეს ხაზები ნოტებზე გადაიღება. ამით კომპოზიტორებს (მუსიკის მთხზველებს) დიდად უადვილდებათ ხმების დაწერა, რომლისათვისაც ადრე დიდი ხანი უნდა ემუშავნათ, რადგანაც ჯერ უნდა დაეკრათ და მერე ქაღალდზე გადაეღოთ თვისი თხზულება. ძველის სიძნელის გამო მრავალი მშვენიერი შთაგონება, ფანტაზია იკარგებოდა. ამ ახალის იარაღით წერის შემდეგ კომპოზიტორს ადვილად შეუძლიან ამ საქმეს უშველოს.

**

**მოჭარბებული არა გარგებულა-რა!** ამას წინად იტალიაში რომის ბანკის ერთს ბუჰგალტერს, სახელად დიუვალლოს, სასამართლოში საჩივარი შეუტანია ერთს ახალგაზდა ქალზედ, მარიამ ტებელლზედ. სასამართლოს მიერ საქმის გარჩევის დროს დიუვალლოს აკანკალებულისა და აღელვებულის ხმით უთქვამს:

— მე რვა წლის ვადით დავიჭირე სახლი და ამიტომ ეხლა სხვაგან ველარ გადავალ. ამ ექვსის თვის წინად გავიგე, რომ ჩემს სადგომს ახლო მეორე სადგომი ვიღაც ახალგაზდა მომღერალ ქალისათვის მიუციათ ქირით. მეორე დღეს, დილა ადრიანად, ჯერ ლოგინიდგან თავი არ ამეღო, რომ მოისმა მშვენიერი სიმღერა; მომღერალი მშვენიერის ხმით გასძახოდა ლექსს: „ტყეთა ბატონს" და კითხულობდა: „ვინ მიჰქრის, ვინ მიაჭენებს თავის მერანს ამ ბნელს საღამოს?" სიმღერა გათავდა და ისე მომეწონა, ისეთს ალტაცებაში მოვედი, რომ თავი ველარ შევიმაგრე და ხმა-მაღლა დავიძახე: „აფერუმ!", „აფერუმ"-მეთქი. ჩემმა მეზობელმა თხოვნა აღარ გამამეორებინა და ხელ-ახლად მოჰყვა: „ვინ მიჰქრის, ვინ მიაჭენებს თავის მერანს ამ ბნელს საღამოს?"-ათ. ეს სასიამოვნო ხმა მიბჟუოდა ყურებში, როცა სახლიდგან გამოვედი და ამავე ხმამ დამიწყო ყურებში ბჟუილი, როცა დავბრუნდი შინ და ვისადილე, როცა ვახშამი ვჭამე, როცა დავიძინე. დილას, სადილობისას, საღამოთი სულ ეს „ვინ მიჰქრის, ვინ მიაჭენებს"-ი გაისმოდა ჩემს ყურებში და დაწოლის დროსაც-კი ნანასავით ჩამესმოდა ხოლმე ყურში. მას შემდეგ, სულ ცოტა რომ ვსთქვათ, 1.200 ჯერ მაინც გამიგონია „ვინ მიჰქრის, ვინ მიაჭენებს"-ი ერთსა და იმავე კილოზე, ერთი და იგივე სიმღერა და ლექსი. ვსთხოვე, შევებრალებინე როგორმე და შეეყენებინა მღერა, რადგან ყურები გამომეჭედა ბევრის „ვინ მიჰქრის, ვინ მიაჭენებს"-ის მოსმენით, მაგრამ ჩემს მეზობელს ნებით არ უნდა დაენებოს თავი მღერას და ამიტომ უმორჩილესადა გთხოვთ, ბ-ნო მოსამართლევ, რომ კანონიერად აღუკრძალოთ მომღერალ-ქალს მარიამ ტებელლის „ვინ მიჰქრის, ვინ მიაჭენებს"-ის მღერა და ჩემი გამოყრუება.

დამნაშავე მომღერალ-ქალს გამოუცხადებია, რომ ლექსი „ტყეთა ბატონი" კონცერტში უნდა ვიმღერო და ამიტომ ვალდებული ვარ კარგად დავისწავლო ამ სიმღერის კილო და ხმაო. ამას გარდა მე სახლში ქირას რიგიანად ვიხდი და არავის ნება არა აქვს ჩემ მიერ დაქირავებულს სადგომში მევე მღერა დამიშალოსო. ამ,თის გაჯიუტების გამო სასამართლოს ჯარიმა გადაუხდევინებია 25 მანათი. მომღერალ-ქალს ჯარიმა გადაუხდია და იქვე სასამართლოში ღიმილით უთქვამს მომჩივან დიუვალლისათვის:

— მე უეჭველად ვეცდები და მუქთს ბილეთს გამოგიგზავნით, რომ ჩემს კონცერტზე მობრძანდეთ და ისიამოვნოთ „ვინ მიჰქრის, ვინ მიაჭენებს"-ის სიმღერის სმენითაო.

მართლაც და, გაგონილა? აქაო და კონცერტში უნდა ვიმღეროვო, 1.200-ჯერა მღერის ერთსა და იმავე ლექსს და აყრუებს საბრალო დიუვალს! 1.200-ჯერ გამეორების შემდეგ რაღა საკვირველი იქნებოდა, რომ კონცერტზე მშვენივრად ემღერა ამ მომღერალ-ქალს მე-1.201-ჯერ და თავი მოეწონებინა საზოგადოებისათვის. არა ჰგავნებია ჩვენ არტისტებსა და არტისტ-ქალებს, რომელნიც წარმოდგენის დღემდე არ ჩაიხედავენ ხოლმე როლში და პირველი მათი როლის წაკითხვა მაშინ არის, როცა სცენაზედ გამოდიან და სუფლიორის სიტყვებს იმეორებენ თუთიყუშისავით. აი თურმე როგორის ბეჯითობით და შრომის მოყვარეობით ითქვამენ სახელს უცხოეთის არტისტები და მომღერალი-ქალები!

# დეპეშა

5 ივნისი

**პეტერბურგი.** გამოცხადდა გარდაწყვეტილება სახელმწიფო საბჭოსი და წესდება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაჯილდოვდნენ ის მემამულენი, რომელთაც ჩამოერთვათ მამულები სახელმწიფო საჭიროებისათვისაო. წესდება შეეხება აგრეთვე იმ საგანს, რა წესით უნდა დაიწყოს ამ მამულების დროებით მფლობელობა და ან ვის რა უფლება ექნება ამ მამულების შემოსავალშიო.

**ბერლინი.** რეიხსტაგმა მიიღო მესამე წაკითხვის შემდეგ 233 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 80-სა კანონ-პროექტი მაგარს სასმელებზე ბაჟის დაწესების თაობაზედ. ამასთანავე მიიღო კანონ-პროექტი საფოსტო ნავოსნობის შესახებ.

**ვენა.** კერძო დეპეშები გვაუწყებენ სოფიიდამ, რომ სტამბულოვი უფრო-და-უფრო მძიმედ ხდება ავადა და სნეულდებაო. კარაველოვმა შეიტანა თავ-დებობის ფული და ამიტომ განთავისუფლებულ იქმნაო.

ამბობენ, ბოლგარიის სარეგენტო მთავრობას განზრახვა აქვს სთხოვოს დიდს საერო კრებას, რომ კონსტიტუცია ამ გვარად შესცვალეთო: როდესაც ბოლგარიის მთავრის ტახტი თავისუფლად რჩება, ანუ როდესაც იმ დიდ სახელმწიფოებს შორის, რომელთაც ბერლინის ხელთ-შეკრულობაზედ ხელი აქვთ მოწერილი, უთანხმოება ჩამოვარდება მთავრის ამორჩევის გამო, მაშინ საერო კრებას რეგენტის დანიშვნის ნება ჰქონდესო; ხოლო ამ რეგენტს ქვეყნის მართვის ნება მხოლოდ ერთის წლიწადს ჰქონდეს და ერთის წლის შემდეგ-კი ახლა სხვა რეგენტი იქმნეს არჩეულიო.

ოსმალეთის სურვილის თანახმად, მთავარს არ ამოარჩევენ. დეპუტატებს მოახსენებენ ბოლგარიის საქმეთა მდგომარეობას და ბოლგარიის სამთავრო ტახტის კანდიდატებთა შესახებ მიწერ-მოწერას. მთავრობის მოწინააღმდეგე დეპუტატები, რომელნიც ამ ჟამად დაპატიმრებულნი არიან, განთავისუფლებულ იქნებიან დიდს საერო კრებაში მონაწილეობის მისაღებად.

6 ივნისი

**პეტერბურგი.** ეკატერინობურგში გამოფენა დაიწყობა უეჭველია 14 ივნისს. გუშინ მიბძანდნენ ეკატერინობურგში დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე და მისი შვილი სერგეი მიხეილის ძე.

დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ და მისმა ოჯახობამ ვერნოში მომხდარ მიწის-ძვრისაგან დაზიანებულთა სასარგებლოდ 5,000 მან. შესწირა.

გაზეთები გვაუწყებენ; უმაღლესად განკარგულება იქმნა მოხდენილი, რომ დღეიდგან სოფლის ყრილობათა და კრებათ ნება აღარ ჰქონდეთ ხოლმე თავის გარდაწყვეტილებისამებრ ამოირჩიონ და გადააყენონ ხოლმე თავიანთ სოფლის სასულიერო წოდების კაცნიო. თუ წინააღმდეგ ამ განკარგულებისა მაინც სასოფლო კრებათა და ყრილობათა არ მიიღეს დანიშნული სასულიერო წოდების კაცი და ან გადააყენეს ნამსახურადი, ამ სოფლის უფროსნი დასჯილ იქმნებიანო.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ საბოლოოდ გარდასწყვიტა ირლანდიელთათვის სასისხლო სამართლის კანონი. ირლანდიელნი და გლადსტონის მომხრენი არ დაესწრნენ კანონის გადასაწყვეტად ხმის მოკრების დროს და კრების დარბაზიდგან გავიდნენო.

### პეტერბურგის ბირჟა, 5-ს ივნისს

ფ ა ს ე ბ ი:

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — › | — › | 9 13 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — › | — › | 176³/₄ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — › | — › | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — › | 264 | — › |
| — მეორისა . . . . . | — › | 243 | — › |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | 98¹/₂ | — › | — › |
| ქუთაისის ბანკისა . . . | 97¹/₄ | — › | — › |
| ტფილისის საერთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . | — › | — › | 83³/₄ |

### გამოსადეგი ცნობანი

**ნიხრი**

1 ივნისიდამ 1 ივლისამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. 5 კაპ.
წითელი პური 1-ის ხარისხისა . 3 ›
› 2 › 2¹/₂ ›
თონის წითელი პური 1-ის ხარის. 5 ›
› › 2— 3¹/₂ ›
› › 3 › 3 ›
ჯვარის მამის პურის ღავაში
1-ლის ხარისხისა . . 5 ›
მე-2 ხარისხისა . . 4 ›
მე-3 — . . . › ›
ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 7 ›
› 2 › 6 ›
სუკი. . . . 13 ›
ცხვრის ხორცი . . . 8 ›
ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. › ›
› 2 › › ›

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით — იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით — დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირამ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს ვადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავის საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდამ პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭიროა ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| ტფილისი . | — | — | 8 | 49 | ბათუმი . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| გორი . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | სამტრედია . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| ხაშური . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | ყვირილა . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| ბეჟათუბანი. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | ბეჟათუბანი | 4 | 18 | 4 | 37 |
| ყვირილა. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| რიონი. . . | 6 | 29 | 6 | 44 | ხაშური . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| სამტრედია . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | გორი . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი . . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | ტფილისი . | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | ღამით | | | |
| ტფილისი . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | ხაშური . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | გორი . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| გორი . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| ხაშური . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | ტფილისი . | 8 | 24 | — | — |

Дозв. цен. Тиф. 6 іюня 1887г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე